

შესავალი

სექსმუშაკები, ტრანსგენდერები და ნარკომომხმარებელი ქალები სისტემატიურად აწყდებიან ძალადობასა და მართლმსაჯულების ხელმისწავდომობის ბარიერებს მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მითითებული ჯგუფები განიცდიან ინსტიტუციურად გამყარებულ სტრუქტურულ უთანასწორობას, ჩაგვრას და ინტერსექციულ დისკრიმინაციას ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. კვლევის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისა და საჭიროებების წარმოჩენის მიზნით გაანალიზოს საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები გაეროს „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციასთან (CEDAW) შესაბამისობის განსაზღვრის კუთხით, მოახდინოს საკანონმდებლო და პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს რელევანტური რეკომენდაციები მათი აღმოფხვრის მიზნით.

კვლევისას გამოყენებულია აღწერილობით მეთოდოლოგია, კონკრეტულად კი - შინაარსის კონვენციური თვისებრივი ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება წერილობით დოკუმენტებში (მათ შორის - სამართლებრივ აქტებში) მოცემული ინფორმაციის გასაანალიზებლად (Neuman 2013). შესაბამისად, შინაარსის კონვენციური თვისებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და საჭიროებების რეგლამენტაციასთან დაკავშირებით.

ნორმატიული ჩარჩო

დისკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციური გარანტიები

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) მე-2 მუხლი, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს, აკისრებს ვალდებულებას, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, თავიანთ ეროვნულ

კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში შეიტანონ თანასწორობის უზრუნველყოფი დებულებები.

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით განისაზღვრა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის და ამისთვის იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, სტრუქტურული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი, სახელმწიფოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს სპეციალური კანონები, პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები დროებითი სპეციალური ზომების ჩათვლით, იმისათვის, რათა ქალებმა ისარგებლონ თანასწორი შესაძლებლობებით და შედეგებით. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება განპირობებული იყო CEDAW-ს კომიტეტის #25 ზოგადი რეკომენდაციით, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს, აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში შეიტანონ ცვლილებები, რომელიც გენდერული თანასწორობის პრინციპს დაამკვიდრებს და ფორმალური თანასწორობის მოდელიდან რეალური თანასწორობის მოდელზე გადაიყვანს¹.

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, კონსტიტუციის მე-11 მუხლით დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნების არაამომწურავი ჩამონათვალ განისაზღვრა („და სხვა ნიშანი“), რომელშიც შედის დისკრიმინაციის აკრძალვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობა ნიშნებით.

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიცია განახორციელა და იგი „კაცის და ქალის ერთობად ცნო“. იგი ერთსქესიანთა ქორწინებას გამორიცხავს. აღნიშნული მუხლი უარყოფითად აისახება ტრანსგენდერ ადამიანებზეც, ვინაიდან: გამორიცხავს ყველა ტრანსგენდერ ადამიანს, რომელსაც მისთვის დაბადებისას მინიჭებული სქესის მქონე პარტნიორი ჰყავს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბიოლოგიური სქესის მნიშვნელობას ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებების მინიჭებისას².

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

¹ General recommendation No. 25, on article 4, paragraph 1, of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, on temporary special measures, 2/25/2019

² ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში, 2019, თანასწორობის მოძრაობა, 5

და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის ფართოდ ინტერპრეტირება მოახდინა და განმარტა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციით განსაზღვრული ნიშნების ჩამონათვალში, არსებითად თანასწორი პირების ნებისმიერი დიფერენცირება აღნიშნული ნიშნის საფუძველზე შეფასებადია თანასწორობის ძირითად უფლებასთან მიმართებით“³.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია გარკვეულ ფორმალურ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმებს ქმნის, კონსტიტუციურ დონეზე მაინც ნაკლებად განამტკიცებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უთანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

2014 წლის 2 მაისს მიღებულმა კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ რეალობა შეცვალა, კანონმა გააერთიანა საერთაშორისოდ აღიარებული ყველა დაცული საფუძველი, მათ შორის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. ამ კანონის მიღება უდავოდ პროგრესული მოვლენაა, რომელიც საქართველოს ევროპულ ღირებულებებთან აახლოებს. კანონის აღსრულების მექანიზმად, სასამართლოსთან ერთად, განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის ფარგლებშიც შექმნილმა სპეციალურმა თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციის საქმეებზე. მიუხედავად, იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციისგან დაცვის, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის მიმართ ბრძოლის მნიშვნელოვანი მექანიზმია, პრაქტიკაში კვლავ პრობლემად რჩება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პრაქტიკაში აღსრულება. დისკრიმინაციის ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში, სახალხო დამცველი იღებს რეკომენდაციას და შესაბამის წინადადებას უგზავნის შესაბამის დაწესებულებებს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრისა და მომავალში დისკრიმინაციის პრევენციის მოთხოვნით. რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, კერძო სამართლის იურიდიული პირის წინააღმდეგ სასამართლოში იდავოს.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

2019 წლის 3 მაისამდე არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, სახალხო დამცველი არ იყო აღჭურვილი კერძო სექტორში დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლის აუცილებელი მექანიზმებით, რაც ართულებდა კერძო სექტორში დისკრიმინაციის იდენტიფიცირებასა და მასზე რეაგირებას. მითითებული თარიღიდან, საჯარო დაწესებულებებთან ერთად, კერძო პირებსაც ევალებათ სახალხო დამცველისთვის საქმის გამოსაკვლევად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, რეკომენდაციის განხილვა და შედეგების შესახებ შეტყობინება.

2019 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, არსებითად გაუმჯობესდა სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტიანობა.

2019 წელს, მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში და შევიწროება და სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმებად განისაზღვრა. 2020 წელს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში და უარი გონივრულ მისადაგებაზე შეზღუდული შესაძლებლობისა საფუძველზე, დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მსხვერპლთა დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა. ცვლილების თანახმად, დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან 1 წლამდე გაიზარდა⁴.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე ცალკე ჩანაწერს არ შეიცავს, ამასთანავე, არ არის აღჭურვილი ეფექტიანი აღსრულების მექანიზმით, ამიტომ ის მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა. მითითებული კანონი ბინარულია, რომელსაც გენდერული თანასწორობა ორობით სისტემაზე (ქალი, კაცი) დაჰყავს. კანონი არ უზრუნველყოფს გენდერულ მრავალფეროვნებას. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს ლგბტიყ+ ადამიანების სპეციალურ საჭიროებებს და ქალისა და მამაკაცის გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული.

⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“

კანონი ადგენს გენდერის სამართლებრივი აღიარების არაგანჭვრეტად და დისკრიმინაციულ პროცედურებს, რომელიც ხელოვნურ ბარიერებს უქმნის სექსუალურ უმცირესობებს. სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები ექმნებათ ტრანსგენდერ პირებს. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონით სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილებების შეტანის ერთ-ერთი საფუძველს სქესის შეცვლა წარმოადგენს. კანონის არ არის დეფინირებული, თუ რა მოიაზრება სქესის შეცვლაში, არ არის გაწერილი სქესის შესახებ ჩანაწერი რა პროცედურით იცვლება, რაც კანონს კიდევ უფრო ბუნდოვანს და არაგანჭვრეტადს ხდის. ამგვარი წესის არარსებობა შესაძლებლობას ართმებს ტრანსგენდერ ადამიანებს, ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი შეცვალონ სწრაფი და ხელმისაწვდომი გზით.

საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარება სამედიცინო პროცედურებს უკავშირდება. რეალობაში არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს დეტალურად არეგულირებს და ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ შესაძლებლობებს იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ, შეცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი თავიანთ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში.

პერსონალური სტრესის გარდა, ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებულ სქესსა და პირის გენდერულ თვითგამოხატვას შორის წინააღმდეგობა ხშირად ხდება ტრანსგენდერი პირების დისკრიმინაციის საფუძველი შრომით ურთიერთობებში, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, სადაც პირადი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარდგენაა საჭირო⁵. 2014 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) იმსჯელა ამ საკითხზე და მოუწოდა სახელმწიფოს „გააუქმოს ტრანსგენდერი პირების მიმართ მოქმედი შეზღუდვები საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაზე“⁶.

⁵ საქართველო, კოალიციური ანგარიში ქალთა უფლებების შესახებ, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა(მე-2 ციკლი, 23-ე სესია, 2015), არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია: კავშირი საფარი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), „ალტერნატივა ჯორჯია“.

⁶ CEDAW/C/GEO/CO/4-5, concluding observations on the combined fourth and fifth periodic report of Georgia, პარა. 34(e), 35(e)

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გენდერის ნიშანი მკვლელობის (109-ე მუხლი), თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისთვის (115-ე მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის (117-ე მუხლი) განისაზღვრა დამამძიმებელ გარემოებად და გენდერის ნიშნით აღნიშნული დანაშაულების ჩადენა ისჯება უფრო მკაცრად.

2014 წლის 2 მაისს ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში და 142-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის) საფუძვლებს სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა დაემატა.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, შეიცვალა სსკ-ის 137-ე მუხლის დეფინიცია. 2017 წლამდე, სსკ-ის 137-ე მუხლის დისპოზიცია გაუპატიურებას განმარტავდა, როგორც მხოლოდ ჰეტეროსექსუალებს შორის განხორციელებულ სსქესობრივ აქტს ქალისა და მამაკაცის ორგანოების გამოყენებით. 2017 წლის შემდეგ, გაუპატიურების განმარტება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლში გაფართოვდა და ახლა იგი განიმარტება, როგორც „პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“. ახალი მოწესრიგებით, 137-ე მუხლში ჯდება ჰომოსექსუალური აქტებიც.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი, რომელიც შიდსის შეყრას ცალკე მუხლით აწესრიგებს და მის კრიმინალიზებას ახდენს, აივ ინფიცირებული ადამიანების მიმართ დისკრიმინაციულ განწყობებს აძლიერებს, სტერეოტიპულ განწყობებს აღვივებს და მათ კიდევ უფრო მეტ სტიგმატიზებას და მარგინალიზებას ახდენს. შიდსის შეყრის კრიმინალიზება ხელს უშლის ადამიანებს, ჩაიტარონ ტესტირება და გაამჟღავნონ მათი ჯანმრთელობის სტატუსი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი ეწინააღმდეგება UNAIDS-ის პრინციპებს შიდსის შეყრის კრიმინალიზების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით, რომელიც შიდსის შეყრის კრიმინალიზებას ადამიანის უფლებების დაცვის წინააღმდეგ მიმართულ

ქმედებად აფასებს⁷. ამასთანავე, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლი განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის კრიმინალიზებას ისედაც ახდენს და შიდსთან დაკავშირებით ცალკე მუხლის (131-ე მუხლი) არსებობა აზრს არის მოკლებული. მაგალითად, თუ განსაკუთრებით საშიში დაავადებაა შიდსი, შესაძლებელია, მოწესრიგებულიყო იგი სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის ფარგლებში და არ გამოტანილიყო ცალკე მუხლში, რაც თემის წევრთა კიდევ უფრო მეტ სტიგმატიზებას და მარგინალიზებას ახდენს.

კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“

კანონი “პირითადად დეკლარაციული ხასიათისაა და ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აივ ინფიცირებულთან მკურნალობის ეფექტიანი პოლიტიკის განსაზღვრას და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ინფიცირებულთა გარიყულობის პრობლემას. ამასთანავე, ცალკე, კონკრეტულ დაავადებაზე კანონის არსებობა, ინფიცირებულთა კიდევ უფრო მეტ სტიგმატიზებას და მარგინალიზებას ახდენს. UNAIDS რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ შიდსთან დაკავშირებით სპეციალური კანონების მიღებისგან, რაც თემის დისკრიმინაციას და სტიგმატიზებას კიდევ უფრო აძლიერებს⁸.

კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“

2017 წელს, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, ცვლილებები განიცადა კანონმა „ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“. კანონით ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სერვისები გააფართოვდა. დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა აქვთ არა მარტო ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, არამედ გენდრული ძალადობის მსხვერპლ ნებისმიერ ქალს. შესაბამისად, რეგულაციები ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც სექსსამუშაოში არიან ჩართულნი და ძალადობას განიცდიან როგორც ოჯახის წევრის, ისე კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან სხვა პირის

⁷Criminalization on HIV Transmission, Policy Brief, UNAIDS, https://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/jc1601_policy_brief_criminalization_long_en.pdf

⁸ იქვე, 1.

მხრიდან. საქართველოს კანონმდებლობა სექსმუშაკების ძალადობისგან დაცვის სპეციალურ მექანიზმებს და სერვისებს არ ითვალისწინებს.

სექსსამუშაოს პენალიზების ქართული მოდელი

კრიმინალიზებისგან განსხვავებით, სექსსამუშაოს პენალიზება მოიცავს ისეთი კანონმდებლობის ან პოლიტიკის არსებობას, რომელთაც აქვთ კრიმინალიზების მსგავსი ეფექტი - მიზნად ისახავს სექსსამუშაოს კონტროლს, მათ დასჯასა და ავტონომიის ხელყოფას სექსსამუშაოში ჩართულობის გამო⁹. აღნიშნული ზომები მოიცავს ჯარიმებს, „რეაბილიტაციის“ მიზნით დაკავებას, დეპორტაციას, ბავშვზე მეურვეობის ჩამორთმევას, სოციალური დახმარების მოხსნას¹⁰.

საქართველოში მოქმედებს სექსსამუშაოს პენალიზების მოდელი, რომელიც სექსსამუშაოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევს. სექსსამუშაოს, როგორც შრომის ფორმას არ ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსი და შესაბამისად, მასზე შრომის კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინებს „სექსმუშაკი“ და „სექსსამუშაო“. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი იყენებს ტერმინს „პროსტიტუცია“, რომელიც შინაარსით სექსსამუშაოს გულისხმობს. ადამიანის უფლებათა ლიტერატურაში ძირითადად გამოიყენება ტერმინი „სექსმუშაკი“. ტერმინს „პროსტიტუცია“ ჯერ კიდევ იყენებს გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW).

საქართველოს კანონმდებლობით, სექსსამუშაო არ მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად, თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³-ე მუხლი პროსტიტუციას საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევს და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უქვემდებარებს.

პროსტიტუციის განხორციელება გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ

⁹ CEDAW, Concluding Observations: Russian Federation, UN Doc.CEDAW/C/RUS/CO/8, 2015, paras.2526

¹⁰ Amnesty International Policy, p.4

ოდენობამდე. საქართველოს კანონმდებლობა პროსტიტუციის ქმედების შემადგენლობას არ განსაზღვრავს და არც მის დეფინირებას არ ახდენს.

მიუხედავად იმისა, რომ სექსსამუშაო არ არის კრიმინალიზებული, თავად სექსუალური მომსახურების გაწევა საკმაოდ სტიგმატიზებულია. სექსსამუშაოს სამართლებრივი რეგულირების რეპრესიული მოდელი კიდევ ერთი ინსტიტუციური დაბრკოლებაა სექსმუშაკი ქალებისთვის. სექსსამუშაოს პენალიზების მოდელი სექსმუშაკებს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის წინაშე აყენებს. ამიტომ, ისინი ხშირად გამხდარან პოლიციისა და სხვა ადამიანების მხრიდან ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. სექსსამუშაოს მომსახურების პენალიზების გამო, იქნება ბარიერები პოლიციის, მართლმსაჯულებისა და ჯანდაცვის ხელმისწავდომობის კუთხით.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო თვალსაზრისით უპირველესი გამოწვევა სექსმუშაკებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა. გაეროს შეფასებით, სექსსამუშაოს კრიმინალიზების პირობებში, სექსმუშაკები იძულებულნი არიან არალეგალურად იმუშაონ, სადაც უფრო მეტად მოწყვლადები არიან ძალადობის მიმართ¹¹. რეპრესიული ხასიათის ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმებით, მთავრობა ცდილობს ტოტალური კონტროლი დაამყაროს ადამიანის სხეულზე და პირად სივრცეზე. ამ კუთხით, ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ტრანსგენდერი სექსმუშაკები წარმოადგენენ, რომლებიც ხშირად ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობის მსხვერპლები არიან¹².

სექსმუშაკთა მიმართ პენალიზების ქართული მოდელის კიდევ უფრო მეტი რეპრესიულობით გამოყენებას ხელს შეუწყობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში¹³ 2021 წლის 29 აპრილს შესული ცვლილებები, რითაც გამკაცრდა სანქციები სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის) მუხლებისთვის, ასევე, გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე ადმინისტრაციული

¹¹ UN General Assembly. The protection of human rights in the context of human immunodeficiency virus (HIV) and acquired immune deficiency syndrome (AIDS): Report of the Secretary-General. Human Rights Council, 16th session. UN doc. no. A/ HRC/16/69, 20 Dec. 2010.

¹² Transgender Europe (TGEU) – Sex Work Policy, <https://tgeu.org/wp-content/uploads/2014/12/TGEU-sex-work-policy.pdf?fbclid=IwAR1CNEgk2YFNb5PaTaEKIDKCHfIR179dgc9Pa1NIZzqmmN2kVXTs7Fby-E>

¹³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=478>

სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5-დღიდან 15 დღემდე ვადით.

ცვილებებამდე რედაქციით¹⁴, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი მხოლოდ ერთი ნაწილისგან შედგებოდა და ითვალისწინებდა 500-დან 1000 ლარამდე ჯარიმას, ან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლში შესული ცვლილებების მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ერთხელ დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების ერთხელ ჩადენა იწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო ამავე ქმედების განმეორებით ჩადენა – სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 3500 ლარიდან 4500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7-დღიდან 15 დღემდე ვადით. კოდექსის ცვლილებამდელი რედაქციით, 173-ე მუხლი ითვალისწინებდა 1000-დან 4000 ლარამდე ჯარიმას ან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას.

ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სანქციების არსებითად გამკაცრებას დამაზიანებელი ეფექტი ექნება ადამიანის უფლებების დაცვაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებს, როგორც რეპრესიულ ღონისძიებებს ხშირად იყენებს პოლიცია სექსმუშაკების მიმართ, რამაც შესაძლებელია, მსუსხავი ეფექტი იქონიოს სექსმუშაკების მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე. მითითებული მუხლების გამკაცრებული სანქციები დამატებით რეპრესიულ მექანიზმს წარმოადგენს პოლიციელთა ხელში სექსმუშაკებზე ძალადობრივი ზემოქმედებისა და ზეწოლის გამოყენების კუთხით.

შეჯამება

ზოგადი შეფასებით, პრინციპების დონეზე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კონვენციის მოთხოვნებს კანონმდებლობაში ანტიდისკრიმინაციული ნორმების

¹⁴ ხელმისაწვდომია: <http://supremecourt.ge/files/upload-file/pdf/administraciul-samartaldargvevata-kodeqsi.pdf>

გათვალისწინებასთან დაკავშირებით. თუმცა, კანონმდებლობაში კვლავ რჩება ხარვეზები მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით, ლგბტი+ ადამიანების, წამალდამოკიდებული ადამიანებისა და აივ-ინფიცირებულთა მიერ ადამიანის უფლებებზე თანაბარი წვდომობისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების სხვა ადამიანების თანასწორად გამოყენების კუთხით.

ნარკომომხმარებელი ქალები

ნარკომომხმარებელი ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ძალადობის, სტრუქტურული უთანასწორობისა და ჩაგვრის მიმართ, რომლის მთავარ მიზეზსაც რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებული სტერეოტიპები და მათი ნარკოდამომიღებულის სოციალური სტატუსი წარმოადგენს.

ნარკომომხმარებელი ქალები განიცდიან ძალადობას და შევიწროებას ოჯახის წევრების, პარტნიორების მხრიდან, რაც ფიზიკურ და სიტყვიერ ზეწოლაში, ტოტალურ კონტროლსა და დაშინებაში გამოიხატება¹⁵. როგორც კვლევებით დასტურდება, შეინიშნება ადრეული ქორწინების (მოტაცების პრაქტიკა) ტენდენცია, რაც მიღებული სტრესის და ვითარების შეცვლის უიმედობის გამო, ნარკოტიკების მოხმარების და სექსსამუშაოში ჩართვის პროვოცირებას ახდენს¹⁶. ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლის სტატუსი ართულებს მათ მიერ უფლების დაცვის მექანიზმების გამოყენებას, რაც დევნის შიშის გამო, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვისგან თავის შეკავებაში გამოიხატება. ნარკომომხმარებელი ქალები ხშირად ხდებიან ძალადობისა და ზეწოლის მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში, დაუსჯელები რჩებიან¹⁷. რამდენიმე დამაბრკოლებელი ფაქტორი უშლის ხელს გენდერული ძალადობის მსხვერპლ ნარკომომხმარებელ ქალებს ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე. მათ შორის არის: რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, რომელიც ნარკომომხმარებლის გამჟღავნების შიშით, აბრკოლებს ქალებს, მიმართონ პოლიციას; ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური

¹⁵ნარკომომხმარებელი ქალების უფლებრივი მდგომარეობის ანგარიში, უფლებათა დარღვევის ტრენდების იდენტიფიცირება - სისტემური, ოჯახური, სექსუალური და სხვა ტიპის ძალადობის ფაქტების მიმართებაში, ACESO, International Organization for Women, Harm Reduction, 2016, 7-8.

¹⁶ იქვე, 8.

¹⁷Alternative Report to the Committee on the Elimination of Discrimination against Women, Implementation of the Concluding Observations on the combined 4th and 5th periodic reports of Georgia on the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, GYLA, 2016, 7

ძალადობა პოლიციის მხრიდან, გარიყულობა ოჯახის მხრიდან და ოჯახში ძალადობა¹⁸.

CEDAW-ს 35-ე ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ურთიერთგადაჯაჭვულია იმ ფაქტორებთან, რომლებიც ქალების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები მოიცავს რასას, რელიგიას, სოციალურ, ოჯახურ, ჯანმრთელობის მდგომარეობას, პროსტიტუციაში ჩართულობას და სხვ¹⁹.

პოლიცია, საზოგადოება, ოჯახი, რიყავენ ქალ ნარკომომხმარებლებს მათი სტატუსის გამო, რაც ნარკოტიკებზე დამოკიდებული ქალების კიდევ უფრო მეტ მარგინალიზებას და სტიგმატიზებას ახდენს. მათ მიმართ საზოგადოების და სახელმწიფოს დისკრიმინაციული დამოკიდებულება საზოგადოებაში მყარად გამჯდარი სტერეოტიპებით არის განპირობებული და ქალის „არატრადიციული“ და „მიუღებელი ქცევით“ მართლდება²⁰.

სახელმწიფოს მხრიდან ნარკომომხმარებელი ქალების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მკურნალობისა და რეაბილიტაციის სერვისების მიღების ხელმისაწვდომობის ხარვეზები და ინფორმაციის ნაკლებობა სოციალური სერვისების შესახებ²¹.

მკაცრი ნარკოპოლიტიკა ართულებს მკურნალობა-რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებას, რასაც თან ერთვის ქვეყნის არასაკმარისი ძალისხმევა მკურნალობა-რეაბილიტაციის მიმართულებით²².

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-12 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს „გაატარონ ზომები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობა“²³.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა #24 ზოგად რეკომენდაციაში, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, გაატარონ შესაბამისი ზომები

¹⁸ იქვე, 7

¹⁹ CEDAW General Recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19 (GR N35), para.12, (GR N19)

²⁰ იქვე, 12.

²¹ იქვე, 10-11

²² საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017, 9.

²³ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-12 მუხლი, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

გენდერსპეციფიური ჯანდაცვის იმპლემენტაციის კუთხით მოწყვლადი ჯგუფების მიმართ²⁴.

ჯერ კიდევ 2014 წელს, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი(CEDAW) დასკვნით შენიშვნებში საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშის შესახებ საუბრობდა „ქალებისათვის გენდერულად სენსიტიური, ხელმისაწვდომი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოლოგიური პროგრამების არარსებობის თაობაზე“²⁵, რაც დღემდე გამოწვევად რჩება. კომიტეტი დასკვნით შენიშვნებში მოუწოდებდა საქართველოს „ჩაეტარებინა კვლევა ეროვნულ დონეზე, რომელიც შეისწავლიდა ნარკომომხმარებელი ქალების, მათ შორის, ორსულების რაოდენობას, რაც სტრატეგიული დაგეგმარებისათვის მნიშვნელოვანია“; ასევე, უზრუნველყო „გენდერულად სენსიტიური და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ნარკოლოგიური მომსახურება, რომელიც ნარკომომხმარებელი ქალებისათვის მიყენებულ ზიანს შეამცირებდა; ზიანის შემცირების პროგრამები უნდა შემუშავებულიყო პატიმრობაში მყოფი ქალებისთვისაც.“²⁶ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი დასკვნით შენიშვნებში ხაზს უსვამდა ნარკომომხმარებელ ქალთა დისკრიმინაციისადმი მოწყვლადობას ჯანდაცვისა და რეპრედუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით²⁷.

„ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის“²⁸ დოკუმენტში სოლიდური ადგილი ეთმობა წამალდამოკიდებული პირების საჭიროებებს, შესაბამისი სერვისების მიწოდებას და მკურნალობის ინსტიტუციურ მექანიზმებს, თუმცა, დოკუმენტი არ არის გენდერსენსიტიური და ცალკე არ ითვალისწინებს წამალდამოკიდებული ქალების გენდერსპეციფიურ საჭიროებებს. არსებული პოლიტიკის პირობებში, გენდერული თანასწორობის მხრივ საქართველოში ნარკოპოლიტიკა არ გაუმჯობესებულა, რადგან იგი არ არის ორიენტირებული გენდერულ საკითხებზე²⁹.

რეპრესიული ნარკოპოლიტიკა მიმართულია მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნარკოტიკული

²⁴ CEDAW General Recommendation No. 24: Article 12 of the Convention (Women and Health), <https://www.refworld.org/docid/453882a73.html>

²⁵ CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პუნქტი 30.

²⁶ იქვე, პუნქტი 30.

²⁷ Concluding observations of CEDAW on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia. CEDAW/C/GEO/CO/4-5. July 2014. Para 30.

²⁸ „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია“, <https://idfi.ge/ge/analysis drug related criminal statistics practice and declared goals do not match>

²⁹ საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017, 25.

დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელები ზოგჯერ უთანაბრდება და აღემატება კიდევ მკლველობისთვის, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის, ყაჩაღობისთვის გათვალისწინებულ სასჯელებს.

საქართველოში ნარკომომხმარებელთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა ვლინდება დასჯაზე ორიენტირებული რეპრესიული ღონისძიებებში, ნაცვლად მკურნალობა-რეაბილიტაციისა და პრევენციისა.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) ცაკლე არ ითვალისწინებს ნარკომომხმარებელ ქალთა განსაკუთრებულ საჭიროებებს და მათ გენდერ-სპეციფიურ გამოწვევებს, რაც CEDAW კომიტეტის რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება.³⁰

სექსმუშაკი ქალები

სექსსამუშაოს რეგულირების საერთაშორისო სტანდარტები

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სექს-მუშაკი ქალები და ტრანსგენდერი ქალი სექს-მუშაკები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. საერთაშორისო კონვენსუსი სექსსამუშაოს იდეოლოგიურ მნიშვნელობასა და მის როგორც სამუშაოდ განხილვაზე არ არსებობს, თუმცა გაეროს ინსტიტუტები თანხმდებიან, რომ სექსსამუშაო, თავისი არსით, ბევრ საზოგადოებაში არსებითად სტიგმატიზებულია, განსაკუთრებით ტრანსგენდერი ქალი სექსმუშაკები, რომლებიც ინტერსექციურ ჩავვრას განიცდიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გაერო მიუთითებს, რომ სექსმუშაკებს, მათ შორის აივ დადებითი სტატუსის მქონე პირებს, საზოგადოებაში ჩართულობის უფლება უნდა ჰქონდეთ, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური მარგინალიზაციის გარეშე. ჯანდაცვის მომსახურების, სოციალური სერვისების, სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების თანამშრომლებში უნდა გაიზარდოს მგრძობელობა და ინფორმირებულობა.³¹

სახელმწიფოების მიერ მოწყვლადი ჯგუფების არალიარების პრაქტიკა, მსმ ურთიერთობების, სექსსამუშაოს კრიმინალიზება უარყოფითად აისახება მათ მიერ სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობაზე. ამ მიზნით, გაეროს ინსტიტუტები -

³⁰ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

³¹ UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, pg. 5, http://www.unaids.org/sites/default/files/en/media/unaids/contentassets/documents/unaidspublication/2009/JC2306_UNAIDS-guidance-note-HIV-sex-work_en.pdf

UNDP, UNFPA, UNAIDS რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ „გააძლიერონ მუშაობა სექსსამუშაოს დეკრიმინალიზაციის მიმართულებით და აღმოფხვრან იმ ნორმათა და რეგულირებათა უსამართლო გამოყენების პრაქტიკა, რომელიც არ ახდენს სექსსამუშაოს კრიმინალიზებას“³². არავინ უნდა ჩაერთოს სექსსამუშაოში დაუცველობის, სიდუხჭირის ან/და იძულების გამო.³³

გაერო მხარს უჭერს გენდერულად სენსიტიურ პროგრამებს, რომელიც მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრასა და მარგინალიზებულ ჯგუფების ინტერესებზე ცენტრირებული დასაქმების პოლიტიკის გატარებაზე³⁴. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია, რომ ყველა სრულწლოვან სექსმუშაკს აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს, განაგრძოს თუ შეწყვიტოს სექსმუშაობა.³⁵ პოლიტიკა და პროგრამები უფრო იმაზე უნდა ფოკუსირდეს, რომ სექსმუშაკებს მიაწოდოს განათლება, რათა თავად შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება.³⁶ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი მიუთითებს, რომ: „განვითარების სტრატეგიები უნდა აძლიერებდეს მოქალაქეების განსაკუთრებით მარგინალიზებულ და მოწყვლად ჯგუფებს, რათა მოახდინონ მათი მოლოდინის არტიკულირება სახელმწიფოსთან და ვალდებულებებით აღჭურვილი სხვა ინსტიტუციების წინაშე და ადეკვატური ცვლილებები მათი განვითარების გეგმებში“.³⁷ საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty international-მა შეიმუშავა გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ სექსმუშაკების უფლებების დაცვა.³⁸

Amnesty International-ის შეფასებით, სექსმუშაკები სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე ერთვებიან სექსსამუშაოში. ზოგიერთი სექსმუშაკი აღნიშნულ საქმიანობაში ერთვება ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და სხვა სამუშაო შესაძლებლობებთან შედარებით, უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით.

³² John Godwin, *Sex Work and The Law In Asia And The Pacific*, UNDP 2012, გვ.7, <http://www.undp.org/content/dam/undp/library/hiv/aids/English/HIV-2012-SexWorkAndLaw.pdf>

³³ UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, გვ.21-22, http://www.unaids.org/sites/default/files/en/media/unaids/contentassets/documents/unaidspublication/2009/JC2306_UNAIDS-guidance-note-HIV-sex-work_en.pdf

³⁴ იქვე, 22

³⁵ იქვე, 17

³⁶ IPPF, UNFPA, *Young Positives, Global Coalition on Women and AIDS (2007) Change, Choice and Power Young Women, Livelihoods and HIV Prevention*. (as cited in UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, გვ.17)

³⁷ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, *frequently asked questions on a human rights-based approach to development cooperation*. New York and Geneva: United Nations, 2006. გვ.26. <http://www.ohchr.org/Documents/Publications/FAQen.pdf>

³⁸ Amnesty international *DECISION ON STATE OBLIGATIONS TO RESPECT, PROTECT, AND FULFIL THE HUMAN RIGHTS OF SEX WORKERS*, <https://www.amnesty.org/en/policy-on-state-obligations-to-respect-protect-and-fulfil-the-human-rights-of-sex-workers/>

უამრავი სექსმუშაკი იწყებს პროსტიტუციას უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო და ყოველდღიური ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით³⁹.

სექსმუშაკები აწყდებიან პრობლემებს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის კუთხით, რომელთა გამომწვევ პაქტორებს შორისაც CEDAW-ს კომიტეტი პროსტიტუციის კრიმინალიზებას განიხილავს⁴⁰.

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) ჯერ კიდევ იყენებს ტერმინს „პროსტიტუცია“ და არა „სექსსამუშაო“. გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW) სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს, მიიღოს ზომები ტრეფიკინგისა და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღმოსაფხვრელად⁴¹. კონვენცია პროსტიტუციას არ კრძალავს და მის რეგულირებას თითოეული სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებად მიიჩნევს⁴². კონვენცია კრძალავს პროსტიტუციის ექსპლუატაციის მიზნით გამოიყენებას და მას ქალთა მიმართ ძალადობასა და ტრეფიკინგთან მიმართებით განიხილავს⁴³.

კომიტეტის შეფასებით, პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ კრიმინალიზებისა და პენალიზების ელემენტების გამოყენება წინააღმდეგობას უქმნის სასამართლოსადმი მათ ხელმისაწვდომობას⁴⁴.

გენდერული ძალადობის შესახებ N35 ზოგადი რეკომენდაცია სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, გააუქმოს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ხელს უშლის პროსტიტუციაში ჩართულ ქალებს ძალადობისგან დაცვაში⁴⁵. კომიტეტის შეფასებით, სექსსამუშაოს პენალიზების მოდელი უარყოფითად აისახება

³⁹ Amnesty International Policy, p.8

⁴⁰ Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation on women's access to justice, CEDAW/C/GC/33 (2015).

⁴¹ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-6 მუხლი

⁴² Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, art3; Interpretive notes on the Trafficking Protocol (2000) UN Doc A/55/383/Add.Para64

⁴³ სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, "ჰერა-XXI", 25.

⁴⁴ Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation on women's access to justice, 23 July 2015, para.49, available at:http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_33_7767_E.pdf

⁴⁵ 37GR N35, para. 31a.

სექსმუშაკთა უფლებების დაცვაზე და მათი დარღვევის მომეტებულ საფრთხეს ქმნის⁴⁶.

CEDAW-ს კომიტეტი სექსსამუშაოს მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში და მოუწოდებს სახელმწიფოებს აღმოფხვრან ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის სექსმუშაკების მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და მიიღონ ზომები, სისხლისსამართლებრივი ზომების ჩათვლით, სექსმუშაკთა ძალადობისგან დასაცავად. ვინაიდან კომიტეტს მიაჩნია, რომ სექსსამუშაოს კანონით დასჯა ხელს უშლის სექსმუშაკების ძალადობისგან დაცვასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, სახელმწიფომ უნდა გააუქმოს სანქციები პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ⁴⁷. სექსსამუშაოს კრიმინალიზების ქართული მოდელი CEDAW-ს კომიტეტის ბაზისურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და სექსსამუშაოს რეპრესირებას ახდენს.

სექსმუშაკთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული განწყობების გავლენით, სექს-მუშაკი ქალები და ტრანსგენდერი სექს-მუშაკების უფლებები ხშირად ირღვევა სახელმწიფო სტრუქტურების, ოჯახისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ.

საქართველოში სექს-მუშაკი ქალები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ უფლებრივი თვალსაზრისით. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავე და არასახარბიელოა იმ ქალებისთვის, რომლებიც ქუჩაში და/ან დაბალი/საშუალო დონის დახურულ დაწესებულებებში მუშაობენ⁴⁸. ხშირია სექს-მუშაკი ქალებზე სამუშაო ადგილებზე თავდასხმები, ძალადობა და სხვადასხვა ღირსების შემლახველი დამოკიდებულებები კლიენტების, გამვლელებისა თუ პოლიციელების მხრიდან⁴⁹. იმის გამო, რომ სექსუალური მომსახურების გაწევა

⁴⁶ CO China, CEDAW/C/CHN/cO/6 (2006) para. 19; CO Vietnam, CEDAW/C/VNM/CO/6(2007). para.18.

⁴⁷ გენდერული ძალადობა სექსმუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება, GYLA, 2018, 12-13

⁴⁸ ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, მიმოხილვა GYLA, „თანადგომა“, 2017, 27.

⁴⁹ იქვე, 28. 32.

უკანონოა, იქმნება ბარიერები, მაგალითად, პოლიციის, მართლმსაჯულების და სათანადო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით⁵⁰.

სექსმუშაკებს პოლიცია ხშირად აკისრებს ადმინისტრაციულ ჯარიმებს. საკუთარი უფლებებისა და დაცვის გზების შესახებ არაინფორმირებულობისა და პოლიციელთა მიმართ შიშის გამო, სექსმუშაკები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიმართ⁵¹. გულგრილი და ღირსების შემლახველი დამოკიდებულება სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან ხელს უწყობს და ახალისებს ადამიანებს, ადვილად განახორციელონ ძალადობრივი ქმედებები სექს-მუშაკების მიმართ⁵².

სექსმუშაკებს შორის საქართველოში ტრანსგენდერი ქალი სექსმუშაკები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. განსაკუთრებული სიმწვავეით ვლინდება პრობლემა სექს-მუშაკ ტრანსგენდერ ქალებთან, საკუთარი გენდერული იდენტობისა და ფემინური გამოხატვის გამო.

სისგენდერი ქალი სექსმუშაკებისგან განსხვავებით, ტრანსგენდერი ადამიანები მეტად ხილვადები არიან, ამიტომ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა მეტად ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ჰომოფობიური და ტრანსფობიური გარემო არ უტოვებს მათ შესაძლებლობას, თავი სხვა ადამიანების თანაბრად განავითარონ და ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რასაც მას სახელმწიფო სთავაზობს. შესაბამისად, ამგვარი უთანასწორობა, რომელიც დასაქმებაზე, ადეკვატურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის არარსებობაში გამოიხატება და ხშირად სოციალურ სიდუხჭირესა და უსახლკარობაში ვლინდება, მათ უბიძგებს, არსებობის შესანარჩუნებლად საკუთარი სხეულის კომერციალიზაციას მიმართონ⁵³.

საქართველოში სექსსამუშაო ძალიან ბევრი რისკის შემცველია. სექსსამუშაოს სამართლებრივი რეგულირების რეპრესიული მოდელი კიდევ ერთი ინსტიტუციური

⁵⁰ კოალიციური ანგარიში ქალთა უფლებების შესახებ, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (მე-2 ციკლი, 23-ე სესია), 2015, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია: კავშირი საფარი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), „ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა - ჰერა XXI“, „ალტერნატივა ჯორჯია“, 11.

⁵¹ სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს- ბიზნესში ჩართულ ქალებში, თვისებრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“, 2018, 6.

⁵² იქვე, 41

⁵³ ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016. 58-59, https://ge.boell.org/sites/default/files/emc_legal_situation_of_lgbt_persons_in_georgia_geo.pdf

და სამართლებრივი წინაღობაა სექსსამუშაოში ჩართული ქალებისთვის, მათ შორის, ტრანსგენდერი ქალებისთვის. ამიტომ, ისინი ხშირად გამხდარან პოლიციისა და სხვა ადამიანების მხრიდან ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ხშირ შემთხვევებში, სამართალდამცველები ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად, თავად გვევლინებიან მოძალადეებად და მჩაგვრელებად. კვლევის შედეგებით დასტურდება, ტრანსგენდერი ქალი სექსმუშაკების მიმართ უფლებამოსილების გადამეტებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის გახშირებული შემთხვევები⁵⁴. ვლინდება შემთხვევები, როდესაც პოლიციელები ზეწოლისა და მუქარის გზით სექს-მუშაკი ქალებისაგან მოითხოვენ უფასო მომსახურებას, სთავაზობენ ცრუმოწმობას და/ან „თანამშრომლობას“ სამუშაო ტერიტორიაზე დგომის უფლების მიცემის სანაცვლოდ⁵⁵.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო თვალსაზრისით უპირველესი გამოწვევა სექსმუშაკებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რის მისაღწევადაც ერთ-ერთი გამოსავალი პოლიციის მხრიდან ადეკვატური რეაგირებაა⁵⁶.

საქართველოში სექსმუშაკები განსაკუთრებით დისკრიმინაციულად მიიჩნევენ კლიენტის მიერ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ცემას; პოლიციის მიერ თანამშრომლობაზე იძულებას; პოლიციის მიერ შეიტყვიერ შეურაცხყოფას და გინებას; პოლიციის მიერ სექსუალური კონტაქტის მოთხოვნას ანაზღაურების გარეშე; სამედიცინო პერსონალის მიერ მომსახურებაზე უარის თქმას⁵⁷. სექსმუშაკები აწყდებიან ღირსების შემლახველ მოპყრობას სამედიცინო სერვისების მიღების დროსაც, რაც მედპერსონალის გულგრილ დამოკიდებულებაში ვლინდება. სექსმუშაკთა უფლებები ირღვევა არა მარტო კლიენტებისა და პოლიციელების მხრიდან, არამედ უზრალო გამვლელების მიერაც, რომლებიც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მათ. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, შანტაჟი, ღირსების შემლახველი მოპყრობა სექსმუშაკთა სამუშაო პირობების თანმდევი ფონი და მახასიათებელია⁵⁸.

⁵⁴ ტრანსგენდერ სექსმუშაკთა უფლებრივი მდგომარეობის კვლევის ანგარიში, იდენტობა, 2014.

⁵⁵ სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს- ბიზნესში ჩართულ ქალებში, თვისებრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“, 2018, 26

⁵⁶ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში, 2019, თანასწორობის მოძრაობა, 18.

⁵⁷ სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014, 17, <http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2017/12/bK8VbsukCXEHxTV6L6AbaWPT4mSV2opMasnQRC0U>

⁵⁸ სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს- ბიზნესში ჩართულ ქალებში, თვისებრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-

რაც შეეხება საკუთარ გამოცდილებას დისკრიმინაციის და უფლებების შელახვის თვალსაზრისით, ირკვევა, რომ მაგალითად, ბათუმელ და ფოთელ სექსმუშაკებს ყველაზე მეტად გამოუცდიათ პოლიციის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა (გინება) და პოლიციის მხრიდან დამცინავი დამოკიდებულება. დისკრიმინაციის ამგვარ ფაქტებზე არაერთი სხვა სექსმუშაკი მიუთითებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა კვირაში რამდენჯერმე⁵⁹. საქართველოში ხშირად, უფლებების დარღვევისა და დისკრიმინაციის პრობლემების მოსაგვარებლად სხვებისთვის მიმართვის მაჩვენებელი სექსმუშაკებში ძალიან დაბალია. შემთხვევათა უმრავლესობაში ისინი არავის მიმართავენ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით⁶⁰. სხვადასხვა სტრუქტურებისათვის დაბალი მიმართვიანობის ძირითად მიზეზად სექსმუშაკები უიმედობას და შესაძლო ზეწოლის შიშს ასახელებენ⁶¹.

საქართველოში პროსტიტუციით დაკავებული ადამიანების სტატისტიკა არ არსებობს, რადგან მათი საქმიანობა ლეგალური არ არის. იმის გამო, რომ პროსტიტუცია საქართველოში არალეგალურია, სექსმუშაკებს ხელი არ მიუწვდებათ ადეკვატურ სამედიცინო შემოწმებაზე.

საქართველოში ქალთა სექსსამუშაოში ჩართვის ძირითადი მიზეზები ეკონომიურია. სექსმუშაკები საუბრობენ გარკვეულ ეკონომიკურ იძულებაზე, ვინაიდან სხვა სამსახურში ვერ საქმდებიან და სექსსამუშაო გადარჩენის ერთადერთი გზაა⁶².

ტრანსგენდერი ქალები ლგბტიქ+ თემის ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რადგანაც გარიყა სახელმწიფოს შიდა სისტემის ყველა ელემენტმა, ოჯახმა, სოციუმმა, სამართლებრივმა სისტემამ. სექსსამუშაო კი ხშირად მათთვის იმ ერთადერთ რესურსად რჩება, რითაც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური გადარჩენა და საკუთარი თავის გამოხატვა ეს რეალობა კი მათ მუდმივი და განგრძობითი ჩაგვრის პირობებში ამყოფებს. სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მესამე პირების მხრიდან მათ მიმართ გამოვლენილ ძალადობაზე დროულ, ეფექტიან და ადეკვატურ რეაგირებას, უფრო მეტიც, ისინი ხშირად თავად მიმართავენ რეპრესიულ საპოლიციო პოლიტიკას, რომელიც სექსმუშაკთა მიმართ ძალადობასა და დისკრიმინაციაში გამოიხატება.

ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“ და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“, 2018, 27.

⁵⁹ სექს-მუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014, <http://hera-youth.ge/wp-content/uploads/2017/12/bK8VbsukCXEHxTV6L6AbaWPT4mSV2opMasnQRC0U>, 5.

⁶⁰ იქვე, 5-6

⁶¹ იქვე, 6

⁶² ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებების კვლევა საქართველოში, 2019, თანასწორობის მოძრაობა, 18.

აღნიშნული, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთლიან სამართალდამცავ სისტემას და წარმოაჩენს მას, როგორც დისკრიმინაციის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ხელშემწყობ წყაროს⁶³.

ბევრ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი წესრიგი, პოლიტიკა, დისკრიმინაცია და მასტიგმატიზებული სოციალური დამოკიდებულებები სექსმუშაკებს ფარულ სივრცეებში გადანაცვლებისკენ უბიძგებს, რის შედეგადაც ისინი აივ ინფექციის პრევენციის, მკურნალობისა და მხარდაჭერის პროგრამების მიღმა რჩებიან. მაშინაც კი, თუ ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომია სექსმუშაკებისთვის, მათ აკლიათ სენსიტიურობა და შორს არიან ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებისგან და მხარდაჭერის პროგრამების მიღმა რჩებიან. მაშინაც კი, თუ ჯანმრთელობის სერვისები ხელმისაწვდომია სექსმუშაკებისთვის, მათ აკლიათ სენსიტიურობა და შორს არიან ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებისგან⁶⁴.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის) ცაკლე არ ითვალისწინებს სექსმუშაკ ქალთა და ტრანსგენდერ სექსმუშაკი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს და მათ გენდერ-სპეციფიურ გამოწვევებს.⁶⁵ მითითებული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს არ ითვალისწინებდა არც საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო თავის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში⁶⁶. სექსმუშაკ ქალთა და ტრანსგენდერი სექსმუშაკი ქალების სპეციალურ უფლებებსა და საჭიროებებს არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა⁶⁷ სექსმუშაკთა მიმართ ძალადობის საკითხებს საერთოდ არ აწესრიგებს და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ თემატიკის ზოგადი მოწესრიგებით შემოიფარგლება.

⁶³ ლებტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, 61,

https://ge.boell.org/sites/default/files/emc_legal_situation_of_lgbti_persons_in_georgia_geo.pdf

⁶⁴ UNAIDS Guidance Note on HIV and Sex Work, March 2009, p. 5,

http://www.unaids.org/sites/default/files/en/media/unaids/contentassets/documents/unaidspublication/2009/JC2306_UNAIDS-guidance-note-HIV-sex-work_en.pdf

⁶⁵ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის),

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

⁶⁶ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (2018-2020), <http://www.parliament.ge>.

⁶⁷ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/09/national-action-plan-on-combating-violence-against-women>

ტრანსგენდერ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

საზოგადოებაში მყარად გამჯდარი სტერეოტიპების, ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობებისა და სახელმწიფოს არასენსიტიური, ხშირად, დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად, ბევრი ტრანსგენდერი და უმცირესობის სხვა წარმომადგენელი ადამიანები ექვემდებარებიან უფლებების დარღვევებს და პრობლემებს მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის კუთხით.

CEDAW-ს საქართველოსთან დაკავშირებულ 2014 წლის ანგარიშში განიმარტა, რომ ლბტ ქალები ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული და უხილავი საზოგადოებაა⁶⁸. ტრანსგენდერ პირთა მიმართ საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობაში ტრანსფორმირდება, რაც თემის წევრების გარიყულობასა და მარგინალიზებას ახდენს. ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება, დამნაშავეთა იდენტიფიცირება და დასჯა საქართველოში დღემდე გამოწვევას წარმოადგენს⁶⁹. ტრანსგენდერი ქალები ხშირად არიან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები, მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო⁷⁰.

ტრანსგენდერი ქალები აწყდებიან პრობლემებს გენდერის სამართლებრივი აღიარების არაგანჭვრეტად და დისკრიმინაციულ პროცედურების გამო, რომელიც ხელოვნურ ბარიერებს უქმნის სექსუალურ უმცირესობებს როგორც სოციალური თვალსაზრისით, ისე სასამართლო ხელმისაწვდომობის კუთხით.

სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით, *იოგაკარტას პრინციპები*⁷¹ განმარტავს, რომ ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ადამიანის უფლებებით სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. კანონი უნდა კრძალავდეს ნებისმიერ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფდეს ყველასთვის უფლებათა თანასწორად დაცვის გარანტირებას⁷². CEDAW-ს #28 ზოგადი რეკომენდაცია

⁶⁸ Rights of LBT Women in Georgia - Shadow Report for CEDAW (2014) - http://women.ge/data/WISG_LBT-women-in-Georgia_CEDAW-58th-session.pdf

⁶⁹ ლბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, 20.

⁷⁰ ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, მიმოხილვა GYLA, „თანადგომა“, 2017, 24.

⁷¹ იოგაკარტას პრინციპები, <http://yogyakartaprinciples.org/principles-en/>

⁷² ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, მიმოხილვა GYLA, „თანადგომა“, 2017, 15

ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ სათანადო ზომები გენდერული და სქესის ნიშნით დისკრიმინაცია აღმოფხვრის კუთხით⁷³.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის ელიმინაციის თაობაზე დეტლურად აწესრიგებს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს გასატარებელ ზომებს და მას ეფექტიანი სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნისკენ მოუწოდებს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის დასკვნით შენიშვნებში აღნიშნავს, რომ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტიანი ზომები ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმის ან ტრანსსექსუალიზმის სოციალური სტიგმატიზაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ, ასევე სიძულვილის ენის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე პირთა დისკრიმინაციის ან ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.⁷⁴

2014 წლის 2 მაისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელშიც ინკორპორირდა საერთაშორისოდ აღიარებული ყველა საფუძველი, მათ შორის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმად, სასამართლოსთან ერთად, განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატი, რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა - თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციის საქმეებზე. მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული კანონის დიდი მნიშვნელობისა, პრაქტიკაში კვლავ რჩება გამოწვევები მისი ეფექტიანი აღსრულების კუთხით.

კვლავ რჩება პრობლემები, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ლგბტიქ+ ადამიანების საჭიროებების ადეკვატური იმპლემენტაციის კუთხით.

2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა⁷⁵ და 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია⁷⁶ ითვალისწინებს ლგბტიქ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებებს, თუმცა, სამთავრობო სამოქმედო გეგმა ლგბტიქ+ პირთა უფლებების თემატიკას ცალკე თავს არ უთმობს და გენდერული თანასწორობის თავში აწესრიგებს.

⁷³ General recommendation No. 28 on the core obligations of States parties under article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (16.12.2010)

⁷⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე პერიოდულ ანგარიშზე, CCPR/C/GEO/CO/4, პუნქტი 8.

⁷⁵ 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა

<http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy/>

⁷⁶ ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია

<http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy/>

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა⁷⁷ ლგბტი+ პირთა მიმართ ძალადობის საკითხებს საერთოდ არ აწესრიგებს და ჰეტეროსექსუალ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ თემატიკის რეგლამენტაციით შემოიფარგლება.

შეჯამება და რეკომენდაციები

ადამიანის უფლებების დარღვევების მიმართ განსაკუთრებით ლაბილურები არიან ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა: ნარკოტიკების მოხმარებელი ქალები, სექსმუშაკები და ტრანსგენდერი ადამიანები, რომლებიც სამართლებრივი და პრაქტიკაში არსებული ბარიერების გამო, ხშირად აწყდებიან ძალადობას, როგორც ოჯახის, საზოგადოების, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან. მათი ყოველდღიური არსებობა დაკავშირებულია ღირსების შემლახველ ატმოსფეროსთან და სიძულვილით მოტივირებულ განწყობებთან სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან.

როგორც კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზიდან გამოვლინდა, ნარკოტიკების მოხმარებელი ქალები, ტრანსგენდერები და სექსმუშაკები იგნორირებულნი არიან სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების მიერ. მათი საჭიროებები ადეკვატურად არ არის ასახული სამართლებრივ და პოლიტიკურ დოკუმენტებში, რაც ამ ჯგუფების გარიყულობასა და ჩაგვრას კიდევ უფრო მეტად ახალისებს. სექსსამუშაოს რეგულირების რეპრესიული ქართული მოდელი სექსმუშაკთა მიმართ ძალადობისა და ჩაგვრის სტიმულირებას ახდენს და თემის მარგნალიზებას უწყობს ხელს. სექსმუშაკები განიცდიან ძალადობას, სტიგმას და მარგინალიზებას სექსსამუშაოს გამო. სექსსამუშაოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევა და მისი რეგულირების რეპრესიული მოდელი იძულებულს ხდის სექსმუშაკებს სახიფათო და არახილვად გარემოში იმუშაონ, ნაკლებად მიმართონ სამართალდამცველ უწყებებს, დაცვის ნაცვლად ძალადობის განხორციელების შიშით. სადამსჯელო ხასიათის ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმებით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ კონტროლი დაამყაროს ადამიანის იდენტობაზე, სხეულზე და პირად სივრცეზე, რაც მოწყვლადი ჯგუფების კიდევ უფრო მეტ სტიგმატიზებას და ვიქტიმიზაციას ახდენს.

⁷⁷ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/09/national-action-plan-on-combating-violence-against-women>

საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:

- მიზანშეწონილია, გადაიხედოს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი და მასში განისაზღვროს ლგბტიქ+ ადამიანების სპეციალურ საჭიროებები, რათა ბინალური (ქალი და მამაკაცი) მოწესრიგებიდან კანონი გადავიდეს გენდერული მრავალფეროვნების მოწესრიგებაზე.
- მიზანშეწონილია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონით განისაზღვროს თანასწორობის დაცვის საპროცესო-სამართლებრივი ინსტრუმენტები, რაც კანონს აღსრულების კუთხით მეტად ქმედითს გახდის;
- საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის მიზნით, მიზანშეწონილია, გაუქმდეს ტრანსგენდერი პირების მიმართ მოქმედი შეზღუდვები საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაზე; კანონმდებლობით გაიწეროს რა იგულისხმება სქესის შეცვლაში და რა პროცედურით იცვლება სქესის შესახებ ჩანაწერი;
- მიზანშეწონილია, გაუქმდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი (შიდსის შეყრა) და მისი შინაარსი მოწესრიგდეს სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის ფარგლებში (განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა).
- მიზანშეწონილია, გაუქმდეს სპეციალური კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“;
- მიზანშეწონილია, გატარდეს ღონისძიებები რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით;
- მიზანშეწონილია, გადაიხედოს სექსსამუშაოს რეგულირების რეპრესიული მოდელი და გატარდეს ღონისძიებები მისი ლიბერალიზაციის მიმართულებით;

საქართველოს პარლამენტს:

- მიზანშეწონილია, გაძლიერდეს საპარლამენტო კონტროლი, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე;
- მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ თავის სამოქმედო გეგმებში გაითვალისწინოს სექსმუშაკი ქალების და ტრანსგენდერი სექსმუშაკი ქალების სპეციალური საჭიროებები;

საქართველოს მთავრობას:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მიზანშეწინილია, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში (2018-2020 წლებისთვის) ცალკე გათვალისწინებულ იყოს ნარკომომხმარებელ ქალთა განსაკუთრებული, გენდერ-სპეციფიური საჭიროებები და მათი დაცვის მექანიზმები;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მიზანშეწინილია, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში (2018-2020 წლებისთვის) ცალკე გათვალისწინებულ იყოს სექსმუშაკი ქალების და ტრანსგენდერ სექსმუშაკი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებები და მათი დაცვის მექანიზმები;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მიზანშეწინილია, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულ იქნას სექსმუშაკთა მიმართ ძალადობის პრევენციასთან, ძალადობის მსხვერპლ სექსმუშაკთა სამართლებრივ დახმარებასა და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.
- მიზანშეწინილია, გატარდეს ღონისძიებები, სექსმუშაკთა თემში სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;

საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მიზანშეწინილია, პოლიციელებისთვის, გამომძიებლებისა და პროკურობისთვის შედგენილ სასწავლო მოდულში შეტანილ იქნას საკითხები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით, რაც მათ დაეხმარებათ სოგი-ს პრინციპების უკეთ გააზრებაში და სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანად გამოძიებაში;

- სამართალდამცავმა ორგანოებმა განახორციელონ სექსმუშაკთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება, დამნაშავეთა იდენტიფიცირება და დასჯა;

საქართველოს პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასამართლოს:

- შეწყდეს სექსმუშაკების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მავნე და თვითნებური ადმინისტრაციული პრაქტიკა;